ავტომატიზაციის გავლენა უმუშევრობაზე საბანკო სექტორში

ირმა სიხარულიძე
ქეთინო ანთია
თამარ გოგილაშვილი

ჯგუფი 9

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე

პროექტის ხელმძღვანელი: რესან ქიქავა, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ავტომატიზაციის გავლენა კომერციულ ბანკებზე და უმუშევრობაზე. თემის შერჩევა მოხდა მისი აქტუალობიდან გამომდინარე, რადგანაც ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების პროცესში ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ის ფაქტი რომ, დღეს მათი უმეტესი ნაწილი იმყოფება ტექნოლოგიური განვითარების ეტაპზე, მიგვაჩნია, ეს თემა საინტერესოა, როგორც საბანკო სფეროს მომხმარებლებისთვის, ასევე ბანკის წარმომადგენლებისთვისაც. ნაშრომში განხილულია შემდეგი საკვლევი საკითხები: ზრდის თუ არა ავტომატიზაცია საბანკო სექტორში უმუშევრობის მაჩვენებელს, არის თუ არა ხელოვნური ინტელექტი კარგი საშუალება რუტინული სამუშაოს ჩანაცვლებისთვის და შესაძლებელია თუ არა უმუშევრობის პრობლემის მოგვარება კვალიფიკაციის ამაღლებით.

ავტომატიზაციის კუთხით არსებული მდგომარეობის დასადგენად, ჩვენი კვლევისთვის გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რადგან ეს უკანასკნელი მეტად სტრუქტურიზებული და მოქნილი მეთოდია. რაც შეეხება საკვლევ ინსტრუმენტს, თემისთვის შევარჩიეთ მასობრივი გამოკითხვის ერთ-ერთი ტიპი - ანკეტირება. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომერციულ ბანკში დასაქმებულებმა. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა თუ რა დამოკიდებულება და მოლოდინები აქვთ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს ავტომატიზაციის პროცესზე და რას ფიქრობენ ისინი ზოგადად სიახლეებზე. კვლევის ჩატარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ავტომატიზაცია გარკვეულწილად ზრდის უმუშევრობას, მაგრამ ამასთანავე, თვლიან, რომ გადაკვალიფიცირების შედეგად შესაძლებელია აღნიშნული პრობლემის მოგვარება. აღნიშნული პროცესის უკეთესად გასაგებად ასევე გამოვიკვლიეთ საქართველოს საფინანსო სექტორი, რომლის შედეგად აღმოჩნდა, ბაზარი მზარდია და ცალკეულ ბანკებში განხორციელებული ცვლილებები ვერ ახდენს გავლენას მთლიან სურათზე. შედეგების შესაბამისად შევიმუშავეთ ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები.

საძიებო სიტყვები: ავტომატიზაცია საბანკო სექტორში, ავტომატიზაცია და უმუშევრობა, ბანკები მომავალში

Abstract

The subject of the study is to represent the influence of Automation on Commercial Banks and unemployment. The research was chosen because of its actuality, as the banks play the crucial role in the process of economic and social development. The fact that the most part of the banks are under the process of digitalization, we think that it would be interesting not only for customers, but also for representatives of Banking. In the study we have discussed the subjects: Weather the automation increases the unemployment or not; Is the AI good opportunity for replacement of routine work and is it possible to resolve the problem of unemployment by increasing of professional qualification?

For identification these subjects we have chosen the method of quantitative research, as this one is more structured and flexible. As the instrument of research was chosen questionnaire survey and the participants were the employees of Georgian commercial banks. As the result we found out what kind of position and expectations they have by age groups and also their position about innovations. This research showed that most of respondents think that automation increases the number of unemployment, but also they define that this problem will be solved by increasing of professional qualification. We have already used the research for better estimation of this field. Related to this we found out, that Georgian financial sector have trend of growth and the process of reorganization in some banks do not influence much on common results. All the information provided, we have suggested conclusions and recommendations.

Key words: Automation in Banking; Automation and Unemployment; The banks of the future